

შეტანილია ცვლილებები  
საქართველოს მთავრობის  
01/29/2013 N 115  
განკარგულებით

**საქართველოს მთავრობის**  
**განკარგულება**  
**N8 2013 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი**

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 101 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (გარდა სსიპ - საქართველოს ნოტარიუსთა პალატა) მიერ 2013 წლის განმავლობაში ერთმანეთისათვის გაწეული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულების მოქმედება გავრცელდეს მიმდინარე წლის 1 იანვრიდან წარმოქმნილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი

*ბიძინა ივანიშვილი*